ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2469038

ნომერი: AR1380669

თარიღი : 23.02.2016

გაცემის თარიღი : 09.03.2016

გაცნობის თარიღი : 09.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერისცვალების ჩიხი N6 , ქ. წამებულის გამზირი N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ ქურხული პ/ნ 01024036676
- თბილისი ქ. წამებულის 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალტეტის არქიტექტურის სამსახურის 12/01/2016 წლის #2383888 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

23.02.2016 წლის #AR1380669 განცხადებით მომართა ვასილ ქურხულმა და მოითხოვა თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12/01/2016 წლის #2383888 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 12/01/2016 წლის #2383888 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. N5, ფერისცვალების ჩიხი N6–ში, შ.პ.ს. "დომექს"–ის საკუთრების მიწის ნაკვეთზე ოფისისა და სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 13 იანვრიდან 2016 წლის 13 ივლისის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი უთითებს, რომ შეთანხმებულ 12/01/2016 წლის #2383888 ბრძანების ტექნიკური–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ: შიდა ფართების დაჯამებისას გაიპარა მცირე უზუსტობები, კერძოდ, სარდაფის ფარში არ იქნა გათვალისწინებული 9 კვ.მ, შესაბამისად, სარდაფის ფართი 214 კვ.მ–ის ნაცვლად უნდა იყოს 223კვ.მ. აგრეთვე ცდომილება/უზუსტობა მოხდა საოფისე ფართებში: 1250.8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1245.2 კვ.მ. ხოლო, საერთო ფართობი: 1766.8 კვ.მ. სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12/01/2016 წლის #2383888 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი - 1766.8 კვ.მ. საოფისე ფართობი - 1245.2 კვ.მ. სარდაფის ფართი:

223კვ.მ. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
